საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუმანიშვილი გიორგი ეგნატეს ძე

თუმანიშვილი გიორგი ეგნატეს ძე (1774–1837), პოეტი და მწიგნობარი. 1790-იდან იყო ერეკლე II-ის, შემდეგ გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი. მოგვიანებით გადავიდა რუს. სახელმწ. სამსახურში. 1820 მიიღო სტატსკი სოვეტნიკის ჩინი. დიდი წვლილი შეიტანა ქართ. *ლიტ.* ძეგლთა შეკრებასა და გამრავლებაში. მისი დავალებით გადაიწერა მრავალი ქართ. ხელნაწერი. თვითონაც კალიგრაფი იყო. თ. ბესიკისა და საიათნოვას პოეტური სკოლის მიმდევარია. იგი არის აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი ინტერპოლატორი.

თხზ. იხ.: მიქაძე გ., გიორგი თუმანიშვილი კრ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1962; რუხაძე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 3, თბ., 1952.

გ. მიქაძე